დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 13

ქ. დმანისი 09 დეკემბერი 2025 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. სოფიო ასლამაზაშვილი
5. ლერი ბერუაშვილი
6. მურაზი აბრამიშვილი
7. მაკა ოკმელაშვილი
8. მაკა ასლანიშვილი
9. ილია სარსევანიძე
10. ემზარი პეტრიაშვილი
11. ნოდარი ადუაშვილი
12. დავით დაუთაშვილი
13. ნატიგ ოვჩიევი
14. სტამბულ ისაევი
15. მიხეილ დაუთაშვილი
16. შალვა ღამბარაშვილი
17. შოთა აკობაშვილი
18. გამლეტ ისმაილოვი
19. ემილ იბრაგიმოვი
20. თეიმურაზ მენაბდიშვილი
21. ირაკლი მუჯირიშვილი
22. აიდინ შარიფოვი
23. შაქირ ჩერპანოვი
24. ლომა გადრანი
25. ლია კავლელაშვილი
26. გოჩა გოჩაძე
27. ვაგიფ მუსაევი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

სხდომა დაიწყო: 12:00
სხდომა დასრულდა: 12:30

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**

2	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურისათვის“ (ს/ნ 428881310) იაპონიის საელჩოსგან, დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 აგვისტოს Nგ-109.109252395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**ს.ასლამაზაშვილი**

1. მომხსენებელი: მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად მერიის დებულების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება იწვევს ცვლილებას მერის წარმომადგენლების მიერ ცნობების მომზადების წესში. კერძოდ: დმანისის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში შესადგენი ცნობების მომზადება და დამოწმება ხორციელდებოდა არაელექტრონული ხელმოწერით და ბეჭდით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (msda) გამოყენების გარეშე. აღნიშნული ქმნის კორუფციულ რისკებს და ამავდროულად „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ელექტრონულ დოკუმენტზე შეასრულოს კვალიფიციური ხელმოწერა ან/და დასვას კვალიფიციური ელექტრონული შტამპი“. ზემოაღნიშნული ცვლილების თანახმად დმანისის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ უფლებამოსილების ფარგლებში ცნობების მომზადება მოხდეს მხოლოდ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში

დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (msda) გამოყენებით. და
დადგენილების ამოქმედება: გავლენას არ ახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, არ იწვევს სხვა ნორმატიულ აქტებში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანას, არ ახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 27

წინააღმდეგი:

2. მომხსენებელი: სოფიო ასლამაზაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურისათვის“ (ს/ნ 428881310) იაპონიის საელჩოსგან, დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 აგვისტოს Nგ-109.109252395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურისათვის“ (ს/ნ 428881310) იაპონიის საელჩოსგან, დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 აგვისტოს Nგ-109.109252395 განკარგულებით დმანისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის" მიეცა უფლება იაპონიის საელჩოსგან, პროექტის „დმანისის მუნიციპალიტეტში ალტერნატიული საბავშვო ბაღის დაარსება“ განსახორციელებლად 70 500 დოლარის ოდენობით მიეღო გრანტი, თუმცა ხსენებულ საელჩოსთან გარკვეული დეტალების დაზუსტების შემდგომ გამოიკვეთა რომ იცვლება გრანტის თანხის ოდენობა 72 086 დოლარით.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 27

წინააღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი